# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

## ოქმი № 3

ქ. ლაგოდეხი

2017 წელი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომის

ო ქ მ ი №3

2017 წლის 24 თებერვალი ქ. ლაგოდეხი

სხდომა მოწვეულ იქნა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინიციატივით

სხდომა დაიწყო 15:00 საათზე

სხდომას ესწრებდნენ:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი - კარლო ჯამბურია; იურიდიული სამსახურის უფროსი - ნინო ბატიაშვილი; ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი - გიორგი ჩალათაშვილი.

საბჭოს წევრები: თამარ მუმლაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ასოციაციის" (საგა) გამგეობის თავმჯდომარე; ვალდიმერ ხეირანოვი - მეწარმე სუბიექტი ი/მ ვლდიმერ ხეირანოვი (ქ.ლაგოდეხში სასურსათო მაღაზია „ვადოს" მფლობელი); მარიამ ქადაგიძე - მეწარმე სუბიექტი ი/მ მარიამ ქადაგიძე (ქ.ლაგოდეხში „სოჯახო სასტუმრო კივის სახლის" მფლობელი); ხათუნა ბარბაქაძე - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ. ლაგოდეხის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი); მარინა პეიტრიშვილი - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ.ლაგოდეხის მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი); გივი შუბითიძე - მოსახლეობის წარმომადგენელი (ტაქსის მძღოლი); გელა თედევვი - არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდ „ლელის" წარმომადგენელი; მინდია დუმბაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია სათემო კავშირი „ჰერეთის" წარმომადგენელი;

სხდომაზე არ გამოცხადდნენ საბჭოს წევრები - დავით ლომიძე და ლევანი ბარბაქაძე რომელსაც ეცნობა სხდომის დღის შესახებ, თუმცა გამოუცხადებლობის მიზეზი ჩვენთვის უცნობია.

•••

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი მიესალმა საბჭოს წევრებს და აუხსნა , რომ საბჭოს სხდომა მოწვეულ იქნა მისი ინიციატივით. საკითხი ეხება ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების განხილვას.

გამომდინარე იქიდან, რომ საკითხი საზოგადოების ინტერესის შემცველია მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ზემო ხსენებული საკითხი განგვეხილა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთან ერთად, რათა მოხდეს პრეტენზიებისა და მოსაზრების გათვალისწინება, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს საზოგადოების აზრს.

წარმოგიდგენთ დანართის სახით იმ ინფრასტუქტურის პროექტების ჩამონათვალს, რომლის დაგეგმვა-განხორციელებაც იგეგმება 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში.

გთხოვთ ვიმსჯელოთ თითოეული პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის თაობაზე.

| 2017 წ. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტები | თანხა |
|---|---|
| ქ. ლაგოდეხში შიდა ქუჩების რეაბილიტაცია ასფალტობეტონით | 80000 |
| ქ. ლაგოდეხში ახალგაზრდობის ქუჩიდან შიო მღვიმელზე გადასასვლელი საფეხმავლო ბილიკის მოწყობა | 32605 |
| სპორტკომპლექსის ჩრდილოეთის მხარეს პარკირების ადგილის მოწყობა (მოასფალტება, სანიაღვრე არხის მოწყობა) | 30000 |
| ქ. ლაგოდეხის ჩიხების გარე განათება | 60000 |
| მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარეგანათების სანათების ეკონომ სანათებით შეცვლა და ნაწილობრივ დამატება | 150000 |
| სოფ. შეერთებაში (მდ. ქვარტლის ხევზე) ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა), | 75000 |
| არემფერანში მოსახლის გაბიონი | 30000 |
| გურჯაანი მილხიდების (რკინის) მოწყობა | 2400 |
| ცოდნისკარის სასმელი (738მეტრი და 34 ბენეფიციარი) | 17800 |
| ონანაურის სასმელი წყალი (1885 მეტრი) | 55000 |
| ლელიანის შუაპლანში სასმელი წყალი | 65000 |
| გიორგეთში არხები | 22000 |

| | |
|---|---|
| გამგეობის სანკვანძები | 28000 |
| ჭადრაკის ოთახის რეაბილიტაცია | 12000 |
| მუზეუმის ოთახის რეაბილიტაცია | 14374 |
| ტრენაჟორების მოწყობა 1 ადგილას | 27000 |
| რუსული სკოლის სახურავი | 38000 |
| რეგ. და მგფ პროექტების თანადაფინანსება | 200000 |
| პროექტირების თანხები | 150000 |
| კამერები შსს | 115500 |
| ცოდნისკარის ხიდის გაფართოება და დავითიანის ხიდის შეკეთება | 18000 |
| პროექტების თანადაფინანსება | 200000 |
| ცენტრალური სკვერის რეაბილიტაცია (კამერებით) | 150000 |
| რანის სტადიონთან სკვერი (კამერებით) | 60000 |
| ტყეპარკის სკვერი (კამერებით) | 40000 |
| ურნები კონსოლიდ. | 150000 |
| მუსიკალური სკოლის ნაწილობრივ რეაბილიტაცია | 20000 |
| ახალგაზდობის ქუჩაზე სანიაღვრეს მოწყობა | 170,000 |
| ვაჟა-ფშაველას და გურამიშვილის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია | 15,000 |
| ახალგაზდობის ,კავკასიონის, მეგობრობის ქუჩების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია | 100,000 |
| ნაგვის მომსახურეობა | 150,000 |
| სოფ.ნინიგორში გაბიონის მოწყობა | 60,000 |

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა განიხილეს საკითხი, წარმოდგენილი დოკუმენტები, გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები და დააფიქსირეს პოზიციები. საბჭოს ზოგიერთმა წევრმა გამოთქვა წინადადება რამდენიმე ახალი პროექტის განხორციელების თაობაზე:

მარინა პეტრიშვილი: მოგახსენებთ, რომ ქ.ლაგოდეხში მესამე საჯარო სკოლასთან (რუსთაველის ქუჩის მხრიდან)არსებული სანიაღვრე არხი საჭიროებს რეაბილიტაციას. რამდენიმე წლის წინ სკოლის ბავშვების დაწერილი პროექტის ფარგლებში მოხდა მისი ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ხოლო რაც დარჩა რეაბილიტაციის გარეშე, დღემდე ისეთივე მდგომარეობაშია და მისთვის ხელი არავის მოუკიდია. არხი საფრთხეს უქმნის ბავშვებს, ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია გაითვალისწინოთ ეს საკითხი და ტენდერიდან მორჩენილი თანხებიდან იქნებ შესძლოთ ამ პრობლემის მოგვარება.

თამარ მუმლაძე: მე მაქვს წინადადება, იქნებ გამგეობამ მოახერხოს და მოახდინოს გამგეობის წინ არსებული სკვერის რეაბილიტაცია. რადგან, ის ერთის მხრივ ამახინჯებს ქალაქის იერსახეს, ხოლო მეორეს მხრივ აზიანებს თავად გამგეობის იმიჯს.

გელა თედევევი: ლელიანში რამოდენიმე წლის წინ გაკეთდა არხი. მინდა ვთქვა რომ ეს იყო ძალიან კარგი და მისასალმებელი საქმე. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ამ არხს არა აქვს არც დამცავი ბარიერი და არც რაიმე მანიშნებელი. რის გამოც ხშირია სხვადასხვა შემთხვევა, რომლის გამოცზიანდებიან ადამიანები. ამიტომ მინდა გაითვალისწინოთ ეს პრობლემა და დაეხმაროთ ლელიანის მოსახლეობას მის მოგვარებაში, კერძოდ დააყენოთ პლასტმასის ბოძკინტები.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი საბჭოს წევრებს დაპირდა მათ მიერ დასახელებული პრობლემების მოგვარებაში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა

გადაწყვიტეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი **ინფრასტუქტურული პროექტები მოწონებულ იქნას საბჭოს მიერ და მიეცეს რეკომენდაცია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს მის განსახორციელებლად.**

**საბჭოს თავმჯდომარე:** ------------ ხათუნა ბარბაქაძე - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ. ლაგოდეხის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი);

**საბჭოს მდივანი:** ------------ თამარ მუმლაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია ,,სამოქალაქო განვითარების ასოციაციის" (საგა) გამგეობის თავმჯდომარე;

**საბჭოს წევრები:**

ვალდიმერ სეირანოვი ------------ მეწარმე სუბიექტი ი/მ ვლდიმერ სეირანოვი (ქ.ლაგოდეხში სასურსათო მაღაზია ,,ვადოს" მფლობელი);

მარიამ ქადაგიძე ------------ მეწარმე სუბიექტი ი/მ მარიამ ქადაგიძე (ქ.ლაგოდეხში ,,საოჯახო სასტუმრო კივის სახლის" მფლობელი);

მარინა პეიტრიშვილი ------------ მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ.ლაგოდეხის მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი);

გივი შუბითიძე ------------ მოსახლეობის წარმომადგენელი (ტაქსის მძღოლი)

გელა თედეევი ------------ არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდ ,,ლელის" წარმომადგენელი

მინდია დუმბაძე ------------ არასამთავრობო ორგანიზაცია სათემო კავშირი ,,ჰერეთის" წარმომადგენელი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ------------ კარლო ჯამბურია;

სხდომა დასრულდა 17:30 საათზე

N 3 24.02.2017 წ.

# რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა:

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ $86^{1}$ მუხლის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 28 ოქტომბრის N2/1395 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებისა“ და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის 24 თებერვლის სხდომის ოქმი N3-ის შესაბამისად:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ინფრასტუქტურული პროექტები მოწონებულ იქნას საბჭოს მიერ და მიეცეს რეკომენდაცია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს მის განსახორციელებლად.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე: ხ. ბარ ხათუნა ბარბაქაძე